დოქტორანტის სემინარის გაფორმების ინსტრუქცია

დოქტორანტის სემინარი სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ნაწილია – 15 ECTS კრედიტი.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.

დოქტორანტის სემინარისადმი წაყენებული მოთხოვნებია:

გვერდების რაოდენობა – არა ნაკლებ 20 გვ.

ფურცლის ზომა – A4

შრიფტი – Sylfaen

შრიფტის ზომა – 12

სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი

ველები: ზედა-ქვედა – 2 სმ, მარცხენა-მარჯვენა – 2 სმ.

წყაროების გამოყენებისას დოქტორანტს შეუძლია მიუთითოს APA-ს ან Chicago-ს[1] აკადემიური სტილი ყველა შესაბამისი ნორმის დაცვით.

იხ. ბმულები:

APA: https://pitt.libguides.com/c.php?g=12108&p=64730.

Chicago: https://pitt.libguides.com/citationhelp/chicago.

სამეცნიერო კვლევითი პროექტის გაფორმების წესი:

1. **თავფურცელი** – თავფურცელზე უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის სახელწოდება, ფაკულტეტის სახელწოდება, შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, კათედრა; სადოქტორო პროგრამის სახელწოდება; ავტორის სახელი, გვარი; სასემინარო ნაშრომის სათაური; სამეცნიერო ხელმძღვანელი(ებ)ის სახელი, გვარი; ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი.
2. **ძირითადი ნაწილი –** არის დოქტორანტის შეხედულებისამებრ ქვეთავებად დაყოფილი ლოგიკურად დალაგებული სტრუქტურირებული კვლევითი ნაწილი.
3. **დასკვნა** – დასკვნაში შეჯამებული უნდა იყოს სასემინარო ნაშრომის შედეგები.
4. **ბიბლიოგრაფია** – ბიბლიოგრაფიაში შეტანილი უნდა იყოს ყველა ის ნაშრომი თუ მასალა, რომლებიც მითითებულია დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის ძირითად ნაწილში. რეკომენდირებულია ბიბლიოგრაფიის დაყოფა შემდეგი სახით: წყაროები და დოკუმენტური მასალები; მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო ლიტერატურა (მათ შორის, ელექტრონული წიგნები და სტატიები ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებში); პერიოდული პრესა (მათ შორის, ელექტრონული); აუდიო და ვიდეომასალები, საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია სხვა ქვეკატეგორიების გამოყოფა. ყველა გამოყენებული ნაშრომი – ელექტრონული თუ ბეჭდვითი მასალები – უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით (ქვეკატეგორიების მიხედვით) და დაინომროს. დაუშვებელია ბიბლიოგრაფიაში ისეთი ნაშრომის ან მასალის შეტანა, რომელიც არ არის მითითებული ძირითად ნაწილში.

[1] Chicago-ს სტილი მოითხოვს სქოლიოებს და არა შიდატექსტურ დამოწმებას.